**შუახევის მუნიციპალიტეტის მერის**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა შუახევი

N 06-118
12/03/2021

118-07-4-202103121146

**შუახევის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის – ,,სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება“ სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს შუახევის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის – ,,სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება“ სამოქმედო გეგმა, თანდართული დანართის მიხედვით.
2. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დაინტერესებული მხარისათვის გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ომარ ტაკიძე

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა

**შუახევის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამის – ,,სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკურად გაძლიერება“ სამოქმედო გეგმა**

**1. პროგრამის სახელწოდება:**

,,სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკურად გაძლიერება“

**2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:**

დაწყება: 11 მარტი, 2021 წელი;

დამთავრება: 31 დეკემბერი, 2021 წელი.

**3. პროგრამი მთლიანი ბიუჯეტი**

10 500 (ათიათასხუთასი) ლარი

**4. პროგრამის დაფინანსების წყაროები:**

შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

**5.პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო**

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია.

**6. პროგრამის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი რომლის საფუძველზე დგება პროგრამა.**

**ადგილობრივი ნორმატიული აქტები:**

6.1. საქართველოს კონსტიტუცია;

6.2. ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი;

6.3. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი;

6.4. შუახევის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა.

**საერთაშორისო ვალდებულებები და კონვენციები:**

6.5. გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ CEDAW (სიდო კონვენცია);

6.6. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება

[2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის ერთ-ერთი პუნქტით ხელისუფლებას, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მმართველობით რგოლში ქალთა როლის გაზრდას ავალდებულებს];

6.7. ევროსაბჭოს კონვენცია ,,ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (იგივე სტამბულის კონვენცია), რომლის რატიფიცირება, საქართველომ 2017 წელს მოახდინა.

**აქტუალობის დასაბუთება:**

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გენდერული საკითხები გააქტიურებულია, ქვეყანაში გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების მიუხედავად საჭიროა დამატებითი აქტივობების განხორციელება, გენდერული თანასწორობის მიღწევის პროგრესის დაჩქარების მიზნით, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით მნიშვნელოვანი ზომების განხორციელება აუცილებელია, კერძოდ: სოფლად მცხოვრები ქალების გააქტიურება, ბიზნეს პროექტების მომზადების სწავლება, მცირე და დამწყები მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა და დაფინასების წყაროების მოძიება.

პროგრამა მიზნად ისახავს თანაბარ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას, გაუმჯობესებულ ეკონომიკურ მმართველობას, მეტ კონკურენტუნარიანობას და დასაქმებას, ასევე ქალთა თანაბარი უფლებების და გაძლიერების მხარდაჭერას.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს: დამწყები, მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას და განვითარებას; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნეს კავშირების დამყარებას და გაძლიერებას.

**საპროექტო იდეა უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:**

სოციალურ-საგანმანათლებლო;

სოფლის მეურნეობა;

ტურიზმი [აგრ–ტურიზმი, ეკო– ტურიზმი]

**კერძოდ:**

მებოსტნეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა, რძის წარმოება, ხილის, გარეული ხილის, სამკურნალო მცენარეების, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია.

ქართული ტრადიციული, ხელნაკეთი პროდუქტების წარმოება, ხელნაკეთი ნივთების, კერვის, ქსოვის, ქარგვის ტრადიციების განვითარება, სასოფლო საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების საგნების, ნივთების დამზადება და სხვა.

**წარმოდგენილი პროექტი არ უნდა ეხებოდეს:**

1. საოჯახო ტიპის სასტუმროს მოწყობას;
2. პროექტის განხორციელების ეტაპზე რაიმე სახის ანაზღაურების მიღებას;
3. რელიგიურ საკითხებს;
4. სპირტისა და ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს და სახიფათო ნივთიერებების წარმოებას.

**7. პროგრამით გათვალისწინებული დახმარება**

პროექტი გულისხმობს მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ერთი პროექტი არა უმეტეს 3 500 ლარით იქნება დაფინანსებული. პროგრამა დაფინანსდება, გამარჯვებული პირის თანამონაწილეობით. ფინანსური თანამონაწილეობა უნდა შეადგენდეს პროექტის მთლიანი ღირებულების 20 %-ს.

**8. პროექტის მიზანი**

ქალების მეტი ჩართულობისა და გააქტიურებისათვის ზრუნვა, ქალების როგორც საზოგადოების სრულფასოვანი და თანაბარუფლებიანი წევრების განვითარების ხელშეწყობა. მცირე მეწარმეობის განვითარება, სტიმული, მოტივაცია და მაგალითი სხვა ქალებისთვის, რათა უფრო მეტად გააქტიურდნენ და მიიღონ მონაწილეობა არა მარტო მუნიციპალიტეტის მერიის მიზნობრივ პროგრამებში, არამედ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, დონორების, მიერ გამოცხადებულ პროექტებში თავიანთი იდეების განსახორციელებლად.

**9. მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები**

ა) ქალების სოციალურ-ეკონომიკურად გაძლიერება და გააქტიურება;

ბ) მათი იდეების, მოსაზრებების განხილვა, განზოგადება;

გ) მათი დაინტერესების ამაღლება;

დ) მეტი ქალი ბიზნესში;

ე) სოფლად დაწყებული მიგრაციის შეჩერების ხელშეწყობა;

ვ) სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა;

ზ) მეწარმე ქალთა წახალისების ღონისძიებების გატარება.

**10. პროგრამით მოსარგებლე პირები**

მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალები და ქალთა საინიციატივო ჯგუფები.

**11. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები**

პროგრამა საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვებს არ საჭიროებს,

დაფინანსება განხორციელდება შუახევის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

**12. კონკურსის ჩატარების ეტაპები**

1.კონკურსი ჩატარდება შემდეგ ეტაპებად:

ა) ბიზნეს იდეის შეფასება;

ბ) ბიზნეს გეგმის შეფასება;

გ) გასაუბრება;

დ) ადგილზე ვიზიტი;

ე) გამარჯვებულის გამოვლენა.

2.გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება მიღებული ქულათა ჯამით.

3.კონკურსის ჩატარების ეტაპების ვადებს, ოქმით განსაზღვრავს სპეციალურად შექმნილი სამუშაო კომისია.

**13. მოსარგებლეთა შერჩევის წესი**

პროგრამაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს 18 წელს მიღწეული ფიზიკური პირი ქალი ან ქალთა საინიციატივო ჯგუფი. ფიზიკურ პირს მინიჭებული უნდა ჰქონდეს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის ბრძანებით, ან/და სხვა მუნიციპალიტეტის მიერ, ადმინისტრაციული წარმოების მასალები კი გამოთხოვილია შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ. ქალთა საინიციატივო ჯგუფის მონაწილეობის შემთხვევაში სტატუსის ფლობა აუცილებელია პასუხისმგებელი პირისთვის.

**გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს:**

1. ბიზნეს იდეის, ბიზნეს-გეგმის პროექტი;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. თავის სახელზე გახსნილი ანგარიშის ნომერი ბანკში;
4. ცნობა, რომ არ გააჩნია ვადაგადაცილებული დავალიანება ან ანგარიშზე ყადაღა იმ ბანკიდან, რომლიდანაც წარმოადგენს ანგარიშის ნომერს;
5. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან გამარჯვების შემთხვევაში;
6. ქალთა ჯგუფის მონაწილეობის შემთხვევაში – ჯგუფის წევრთა თანხმობები, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიული წესით ან/და ხელმოწერილი კომისიის მდივნის თანდასწრებით.

პროექტის შერჩევა, შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ადგილობრივ თვითმმართველობაში შექმნილი სამუშაო კომისიის მიერ, რომელიც დამტკიცებული იქნება მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

განმცხადებლებმა მერიაში საპროექტო განაცხადი უნდა წარადგინონ არაუგვიანეს 2021 წლის ---- ---------- 17:00 საათისა,

ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: ----------

ომარ ტაკიძე



მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა